ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

790 20-33-05

577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №166

20 ივნისი 2013 წ.

ა.(ა).ი.პ. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებისათვის“ (ს/კ - 242008830) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 13 ივნისის №32 დადგენილებით დამტკიცებული „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესი“-ს მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გადაეცეს ა.(ა).ი.პ. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებას“ (ს/კ - 242008830) სარგებლობის უფლებით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება დანართის მიხედვით, საერთო ღირებულებით - 28 904.70 (ოცდარვა ათას ცხრაასოთხი და სამოცდაათი) ლარი.
2. სარგებლობის უფლებით გადაცემის პირობად განისაზღვროს ადმინისტრაციისა და ბიბლიოთეკების განთავსება და გადაცემული ქონების მოვლა-პატრონობა.

3. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემა განხორციელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით.
4. უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის ვადა განისაზღვროს უზუფრუქტუარის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირად არსებობის პერიოდით.
5. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობას (თამაზ ჯინჭარაძე) მხარეთა შორის გასაფორმებელი უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებებისა და მიღება-ჩაბარების აქტების მომზადება.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მისამართზე - ჭავჭავაძის ქ. №4.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: ა.(ა).ი.პ. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების“ (ს/კ - 242008830) 2013 წლის 4 ივნისის №31 წერილი.

საკრებულოს თავმჯდომარე
ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,
იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*

დანართი

დამტკიცებულია
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
2013 წლის 20 ივნისის N166 ბრძანებით

	ობიექტის დასახელება	მისამართი	მიწის ფართობი (კვ.მ.)	მიწის ღირებულება (ლარი)	ღირებულება (ლარი)	მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი
1	2			4	3	
1	შენობა-ნაგებობა (ადმინისტრაციისა და ბიბლიოთეკის განსათავსებლად)	დ. ჩოხატაური, დუმბაძის ქ. №12	280	3360	16 857.06	28.01.21.186
2	შენობა-ნაგებობაში არსებული 25.80 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (ტექნიკური პასპორტის მიხედვით; ბიბლიოთეკის განსათავსებლად)	ჩოხატაური, სოფ. იანეული	–	–	1077.66	28.13.23.045
3	შენობა-ნაგებობაში არსებული 36.80 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (ტექნიკური პასპორტის მიხედვით; ბიბლიოთეკის განსათავსებლად)	ჩოხატაური, სოფ. ბუკისციხე	–	–	332.82	28.13.22.034
4	შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე არსებული 62.70 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (ტექნიკური პასპორტის მიხედვით; ბიბლიოთეკის განსათავსებლად)	ჩოხატაური, სოფ. საჭამიასერი	–	–	2422	28.16.23.008
5	შენობა-ნაგებობაში პირველ სართულზე არსებული 58.80 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (ტექნიკური პასპორტის მიხედვით; ბიბლიოთეკის განსათავსებლად)	ჩოხატაური, სოფ. ხიდისთავი	–	–	1087.73	28.09.25.050
6	შენობა-ნაგებობაში მეორე სართულზე არსებული 44.70 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (ტექნიკური პასპორტის მიხედვით; ბიბლიოთეკის განსათავსებლად)	ჩოხატაური, სოფ. ქვენობანი	–	–	690.62	28.08.24.039
7	შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 22.70 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (ტექნიკური პასპორტის მიხედვით; ბიბლიოთეკის განსათავსებლად)	ჩოხატაური, სოფ. ჯვარცხმა	–	–	2226.18	28.10.23.096
8	შენობა-ნაგებობაში მეორე სართულზე არსებული 70.60 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (ტექნიკური პასპორტის მიხედვით; ბიბლიოთეკის განსათავსებლად)	ჩოხატაური, სოფ. დაბლაციხე	–	–	850.63	28.14.22.013
				3360	25544.70	
	სულ:			28 904.70		